საქართველოს კანონი

„ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის (პარლამენტის უწყებანი, №1-2 (33-34/7), 22 იანვარი, 1997, გვ. 40) 30-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. თევზჭერად ითვლება თევზის, წყლის უხერხემლოთა და ზღვის ძუძუმწოვართა მოპოვების მიზნით შესაბამის წყლის ობიექტში (მათ შორის, საქართველოს შავ ზღვაში) თევზსაჭერი ან თევზსარეწი იარაღით, მოწყობილობით ან/და სხვა ხერხებითა და საშუალებებით განხორციელებული ქმედება. თევზჭერა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, იყოფა სახეებად. იგი მოიცავს აგრეთვე სამოყვარულო და სპორტულ თევზჭერას (წყალქვეშა ნადირობის ჩათვლით).“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ქუთაისი,

12 ივნისი 2013 წ.

N725-IIს